

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №10 ოქტომბერი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

9 ოქტომბერი– დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა

9 ოქტომბერი – დღესასწაული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატისა, რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან 1989 წელს.

ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოასვენეს ივერიის ყოვდაწმინდა ღვთისმშობლის ხატი, პორტაიტისას ასლი, რომელიც წმინდა მთის ბერებმა შეასრულეს საქართველოს კათოლიკოს, ილია II–ის ლოცვა–კურთხევითა და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

ხატი ასვენია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში. ამ ხატთან დაკავშირებულია ასეთი სასწაული, ხატის მინაზე გადავიდა გამოსახულება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

წმიდა და ყოვლადქებული მოციქული თომა. ხს. 6 (19) ოქტომბერი

წმიდა თომა მოციქული, მაცხოვრის ათორმეტ მოციქულთაგანი, გალილეის ქალაქ პანსადაში დაიბადა და მეთევზეობით ირჩენდა თავს. როცა იესო ქრისტეს ქადაგება მოისმინა, თომამ ყველაფერი დაუტევა და სიხარულით შეუდგა ღვთაებრივ მოძღვარს.

წმიდა წერილი გვამცნობს, რომ თომა არ ერწმუნა სხვა მოციქულთა მონათხრობს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ: „უკუეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი საშჭუალთაი და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“. აღდგომიდან მერვე დღეს მაცხოვარი თომასაც გამოეცხადა და მიმართა: „მოყვენ თითნი შენნი და იხილენ“.

„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ — აღმოხდა მოციქულს. ამის შემდეგ წმიდა თომა, ღვთის მადლით, აღმატებული ახოვანებითა და მოშურნეობით აღივსო და გაბედულად ქადაგებდა ღვთის სიტყვას ველურ ტომებს შორის. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, უფლის რჩეულმა ღვთის სიტყვის ქადაგებით განანათლა მთელი პალესტინა, მესოპოტამია, პართია, ეთიოპია...

ინდოეთში ქალაქ მელიაპორის მმართველის მეუღლისა და ძის ქრისტიანობაზე მოქცევისათვის იგი შეიპყრეს და სასტიკი წამების შემდეგ ბოლოს შუბით განგმირეს. წმიდანის უხრწნელი ნაწილები ინახება ინდოეთში, უნგრეთში, ათონის მთაზე... თავის ქალა კი საქართველოში, თბილისის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა 18 (31) ოქტომბერი

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა სირიის ანტიოქიაში დაიბადა. იგი განათლებულ ბერძენთა წრეს ეკუთვნოდა და პროფესიით ექიმი იყო. ქრისტეს შესახებ რომ ესმა, ლუკა პალესტინაში ჩავიდა და აქ თავად უფლისაგან ეზიარა მაცხოვნებელ სწავლებას. ჯერ კიდევ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს წმიდა ლუკა, როგორც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, უფლის მიერ ცათა სასუფევლის შესახებ პირველი ქადაგებისათვის გაიგზავნა. აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ემაუსში მიმავალ ლუკას და კლეოპას გამოეცხადა.

ლუკა თან გაჰყვა წმიდა მოციქულ პავლეს მეორე მისიონერულ მოგზაურობაში, რის შემდეგ ისინი ერთმანეთს არ განშორებიან. უფლის რჩეულ პავლეს გვერდით დარჩა მაშინაც, როცა იგი ყველა თანაშემწემ მიატოვა. მოციქულთა თავის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ წმიდა ლუკამ რომი დატოვა და ქადაგებით მოიარა აქაია, ლიბია, ეგვიპტე და თებაიდა. ამქვეყნიური ცხოვრება მან მოწამეობრივი ღვაწლით დაასრულა ქალაქ თებეში.

გადმოცემის მიხედვით, წმიდა ლუკა ღვთისმშობლის პირველი ხატების დამწერიცაა. გადმოცემა აწყურის ღვთისმშობლის ხატსაც ლუკა მახარებლის სახელს უკავშირებს. წმიდა მოციქულს ეკუთვნის თავთა მოციქულთა — პეტრესა და პავლეს ხატებაც.

სახარება ლუკას 62-63 წლებში პავლე მოციქულის ხელმძღვანელობით დაუწერია.

ლუკა მახარებელს ეკუთვნს „საქმე მოციქულთა“. იგი მოგვითხრობს წმიდა მოციქულთა შრომასა და ღვაწლზე მაცხოვრის ამაღლების შემდეგ.

1 ოქტომბერი – ხს. წმ. მთავარმოწამისა ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმ. მოწამეთა შალვა და ელიზბარისა, ქსნის ერისთავთა (1661 წ.)

15 ოქტომბერი – ხს. წმ. დიდმოწამე არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინესი.

კახეთის სახალხო აჯანყების (1659) მეთაურები

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

ეს დიდი ქრისტიანული დღესასწაული მცხეთობა-სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული იმართება სვეტიცხოველში ძველი სტილით პირველ ოქტომბერს. დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, სადიდებლად „კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“. ამ დღესვე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმ. სიდონიასა და აბიათარის ხსენებაც.



როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს ჰურიათა, ღვთის განგებულებით იგი მცხეთელებს შეხვდათ. ელიოზმა და ლონგონოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება მისი და სიდონია, მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილით და გოდებით მოისმინა ძმისგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა მთელ ქართლში.

სვეტიცხოვლობის შესახებ წმინდანთა ცხოვრება გადმოგვცემს შემდეგს: მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისაგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი ადგილიდან ვერ დაძრეს, წმიდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად. მის მიახლებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილები აღსდგებოდნენ.

საუბარი მოძღვართან

მამაო მღვდლობა ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლოებაა, ბერობა კიდევ უფრო დიდი მადლი. რა საერთო და რა განმასხვავებელი ნიშნები აქვთ მათ.

მღვდლობა ხარისხი, პატივი, პასუხისმგებლობა და მსახურებაა ღმერთის და ადამიანების წინაშე. ბერობა ცხოვრებაა განსაკუთრებული ცხოვრების წესით. ბერმა ანგელოზს უნდა მიბაძოს და მიემსგავსოს სიწმინდით, სიკეთით და სიყვარულით. მღვდლობას და ბერ-მონაზვნობას საერთო სულიწმინდის მადლი აქვთ და მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი ადამიანის ცხოვრების წესია.

მამაო, სად დაიწყეთ სასულიერო ცხოვრება? როგორ გაიხსენებთ იმ წლებს?

სასულიერო ცხოვრებას ყველა ადამიანი ღმრთის მადლით და განსაკუთრებული წყალობით იწყებს. მადლობა ღმერთს, მომმადლა, რომ გერგეტის სამების ტაძარში აღვიკვეცე. როგორ გავიხსენებ იმ დღეებს? ახლაც იმ დღეების სითბითი და სიხარულით ვცხოვრობ.

როგორია გზა, რომელმაც ეკლესიაში მიგიყვანათ?

ეკლესიაში განსაცდელის გზით მოვედი, რასაც მოწყალებად ვთვლი ღმრთისაგან და ვმადლობ ღმერთს ყველაფრისთვის.

რას გვეტყვით ჩვენი გაზეთის „ჩემი გიმნაზიის“ შესახებ?

ვუსურვებ ისეთ სიწმინდეს, სიხარულს და სიფაქიზეს ატარებდეს მომავალშიც, როგორიც დღეს აქვს.

მამაო, რას გვეტყვით ვერცხლისმოყვარეობაზე?

სიმდიდრე ცოდვა არაა, ცოდვა სიმდიდრის არასწორად გამოყენებაა. წმინდა მამებთან ვკითხულობთ: 1) ვერცხლისმოყვარეობა, სახარების შეურაცხმყოფელი და მცნებების ნებაყოფლობით დამრღვევია. 2) ვერცხლისმოყვარეობის დასაწყისი არის მოწყალებაზე ფიქრი, ხოლო დასასრული გლახაკთა სიძულვილი. 3) ვიღრე ფულს აგროვებენ, მოწყალებას ქადაგებენ; როცა ფულს შეაგროვებენ, ხელები ეკვრებათ. 4) ერთმანეთს შეხვდნენ უცხოთმოყვარე ანუ მოწყალების მოყვარე და ქონების მოყვარე და მეორემ პირველს უგუნური და მფლანგველი უწოდა.

საიდან წარმოიშობა ვერცხლისმოყვარეობა?

ბოროტი სული ცდილობს ადამიანის სხვადასხვა ვნებით დაბრკოლებას. ვერცხლისმოყვარეობაც ერთ-ერთი ვნებაა, რომელიც მოქმედებს ადამიანის დაცემულ ბუნებაზე და თვითონ ადამიანმა არ უნდა მისცეს მას საკუთარ თავში განვითარების და ნაყოფის გამოღების საშუალება.

ყველაზე სავალალო კი იუდას მიერ უფლის გაყიდვა იყო.

იუდას შემთხვევაში ადამიანმა მისცა საკუთარ თავში ვერცხლისმოყვარეობის ვნებას განვითარების საშუალება და სწორედ ამის ნაყოფი იყო გონების დაბნელება და გულის გაბოროტება. იუდამ უფლის სახით თავისი კეთილისმყოფელი გასცა და გაყიდა. აქედან გმომდინარე, ჩანს, როგორი საშიშია ეს ვნება.

რამდენად გვიშლის ხელს ლოცვაში ვერცხლისმოყვარეობა?

წმინდა მამებთან ვკითხულობთ: ვერცხლისმოყვარეობის ვნებით შეკრული წმინდა გულით ვერასოდეს ილოცებს.

როგორ ვებრძოლოთ ვერცხლისმოყვარეთ?

ყველა ვნებას, რომელიც ჩვენ ცოდვაში გვაგდებს და ღმერთს გვაშორებს, სათნოებების და ღმრთის მცნებების აღსრულებით უნდა დავუპირისპირდეთ. მაგალითად, ამპარტავნებას — თავმდაბლობით, პატივმოყვარეობას — მოყვასის სიყვარულით, გემოთმოყვარეობას — მარხვით, მცონარებას — სიფხიზლით, შესაბამისად, ვერცხლისმოყვარეობას მოწყალების და გლახაკთა სიყვარულით უნდა ვებრძოლოთ, და საერთოდ, ყველა სათნოების აღსრულებაში აუცილებელია ღმრთის მადლის შეწევნა, რომელიც ძირითადად სწორი, გულმოდგინე ლოცვით მოიპოვება.

თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ მიხვედით ტაძრამდე, ან მოგვითხროთ თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები.

ჩემს ბავშვობაში ძირითადად დაკეტილ ან დანგრეულ ტაძრებთან მიწევდა მისვლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის განსაკუთრებულ სიმშვიდეს, სითბოს და სიხარულს ვგრძნობდი და ამის გამო ვცდილობდი ხშირად ვყოფილიყავი ტაძართან ახლოს. მადლობა უფალს, რომ ბერი ვარ და ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ტაძრის და დედაეკლესიის წიაღში მიწევს ცხოვრება. ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი ჩემ ცხოვრებაში ვთვლი, რომ ბერად აღკვეცა იყო, რადგან ამ დროს ადამიანი სამ უდიდეს საიდუმლოს განიცდი: გარდაცვალებას, დაბადებას და აღდგომას.

წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის
მოძღვარს იღუმენ ეგნატე ჭიჭინაძეს ესაუბრა
გიმნაზიის მე-10 კლასის მოსწავლე
ნატო წიკლაური.

ახლის შესწავლა ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

როგორც ცნობილია, ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, სასწავლო პროცესი კი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი. ურთიერთობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მასწავლებელზე, არამედ თვით მოსწავლის სურვილსა და მონდომებაზე. თავის მხრივ, მასწავლებელმა არ უნდა დაზოგოს დრო და ენერგია ისეთი აქტივობის მოსაძებნად, რომლებიც დაეხმარება გაკვეთილზე მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირების შენარჩუნებაში. ისიც ცნობილია, რომ დღესდღეობით თვით მოსწავლეები სწავლების ძველებურ მოდელებს აღარ აღიარებენ და კარგად მაშინ ითვისებენ მასალას, როდესაც თვითონ აანალიზებენ და ამუშავებენ მასალას. საამისოდ დღევანდელ სასკოლო ცხოვრებაში, ალბათ, სასიცოცხლოდ მნიშ-

ვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ამის საჭიროებას პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად მაინც არ არის იოლი მისი განხორციელება დღევანდელი დატვირთული ცხოვრებიდან გამომდინარე. ის კი უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს სასწავლო დაწესებულებაში მეუფე იეგუდიელის აქტიური მხარდაჭერით ეს რამდენიმე წელია დანერგილია სწავლების ის ინოვაციური მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების გამომუშავებას.

ტექნიკური აღჭურვილობის საგაკვეთილო პროცესში გამოყენება მეხმარება ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვაში, რაც დიდწილად ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას.

უახლესი ქართული ლიტერატურის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიმბოლიზმისა და მისი მიმდევრების შემოქმედებათა შესწავლას. ეს ის პერიოდია, რომელიც რეპრესიებით არის ცნობილი, ხოლო სიმბოლისტთა შემოქმედება რამდენადაც რთულია, იმდენად საინტერესოა. ამიტომ საჭიროა ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნების კარგი ცოდნა, რათა ეს სირთულე დაიძლიოს. საამისოდ სასარგებლოა არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით ახლის შესწავლა თვალსაჩინოების გამოყენებით. ეს კი მასალის დიდხანს დამახსოვრების გარანტიას ქმნის.

მაკა ქავთარაშვილი

გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნოემბრის თვის საეკლესიო კალენდარი

1 — დიმიტრის შაბათი. მიცვალებულთა ხსენება.

2 — წმიდისა გაბრიელისა, აღმსარებლისა და სალოსისა (ურგებაძე. 1995).

8 — დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება.

12 — მოწ. იოთამ ზედგენიძისა, მეფისთვის თავდადებულისა (1465).

13 — ხს. წმიდათა 100 000 მოწ. თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა.

21 — კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა.

23 — გიორგობა (ბორბალზე წამების დღე).

29 — ხს. წმ. დიდებულისა მოციქულისა და მახარობლისა მათესი.

„იყავით ვითარცა ყრმანი, რათა თუ არ იქნებით სულით ბავშვები, ვერ შეხვალთ სასუფეველში“

მე, როგორც საღვთო სჯულის მასწავლებელი, დაახლოებით ვხვდები, რამხელა პასუხისმგებლობა მაკისრია ღვთისა და ბავშვების წინაშე. მით უმეტეს, როდესაც პირველი, მეორე და მესამე კლასის ბავშვებზე ვსაუბრობ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ როგორი გაფაციცებული თვალებით შემომცქერიან პატარები, როდესაც მათთვის ახალ და უცნობ ისტორიას ვუყვები. ამ ასაკის ბავშვის გონება იმდენად სუფთა და უბიწოა, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე პირდაპირ იღებენ და იჯერებენ ინფორმაციას, როგორც მიაწვდი. ამასთან ერთად, მასწავლებელი იმხელა ავტორეტია პატარებისათვის რომ გონებაშიც კი არ გაივლებენ რაიმე საეჭვო ან საწინააღმდეგო აზრებს. სპეტაკ თვალებში ცხადად ჩანს, როგორ ცოცხალ კადრებად ჩაივლის ბიბლიური ისტორიები, როდესაც მხატვრულად ვუკითხავ. სწორედ ამ დროს კი ვგრძნობ ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას, რადგანაც ეს ისტორია სამუდამოდ აღიბეჭდება მათ წმინდა გონებაში.

მინდა გავიხსენო კონკრეტული შემთხვევები, რაც ამ პატარების ზნეობრივ სულისკვეთებას ნათლად წარმოაჩენს. მოგეხსენებათ, ბიბლიაში ხშირად ვხვდებით დედაშვილურ მომენტებს. მაგალითად, „სოლომონის სიბრძნეში“ მოთხრობილია ორი ქალის ამბავი, რომლებიც ერთი ბავშვის გამო დავობენ. ორივე ამტკიცებს, რომ ბავშვი მისი შვილია. მაშინ სიმართლის გასაგებად სოლომონ მეფე ბრძანებს, რომ ბავშვი შუაზე გაჭრან და ნახევარი ერთ დედას მისცენ, ხოლო მეორე ნახევარი — მეორეს. პირველი ქალი თანახმაა ბავშვი შუაზე გაჭრან, ხოლო მეორე უარს ამბობს დედობაზე, ოღონდაც არ გაწირონ ბავშვი. მაშინ კი ნათელი გახდება ბავშვის მშობლის ვინაობა და მეფე ბრძანებს, რომ გადასცენ შვილი ნამდვილ დედას. ამ ისტორიას დიდი ემოციებით ხვდებიან განსაკუთრებით გოგონები, როგორც მომავალი დედები. მათთვის ასევე დასამახსოვრებელია ელისაბედისა და მარიამის შეხვედრა, რომელთა წიაღში ჩვილი მაცხოვარი და იოანე ნათლისმცემელი იმყოფება, და როგორ შეკრთება ყრმა ელისაბედის მუცელში, როდესაც ღვთისმშობლის სიახლოვეს იგრძნობს. ერთხელ დაემთხვა ისე, რომ როდესაც ამ ისტორიას ვუყვებოდი ბავშვიებს, მეც ორსული ვიყავი და განსაკუთრებით სიფრთხილითა და სითბოთი მეპყრობოდნენ პატარები. ამბის მოთხრობისას კი კიდევ უფრო რეალურად აღიქვეს ბავშვის მუცლადღება.

გოგონებთან ერთად არ შემიძლია ბიჭების ვაჟკაცურ ხასიათს არ შევეხო, როდესაც საქართველოს წმინდა მეფეებზე ვესაუბრები, შთაბეჭდილებებით სავსენი ერთმანეთს უყვებიან, მაგალითად, ვახტანგ გორგასლის შესახებ, რომელიც იმდენად მაღალი და ძლიერი იყო, რომ ცხენს მხრებზე შემოისვამდა და ისე ადიოდა მთაზე. ცდილობენ ნახატით გადმოსცენ ეს ყველაფერი და საბოლოოდ ძალიან საინტერესო ვერსიები გამოდის ხოლმე. უყვართ ნოეს ისტორია და მათ ნახატებში ძირითადად წყალში მოტივტივე კიდობანს ამოიკითხავთ, და კიდევ ბევრია მსგავსი თემები, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

ჩემი სურვილია, მოვაწყოთ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, ამით დავეხმარებით საკუთარი ნიჭის თვითგამოხატვაში. ჩვენც ცოტა ხნით მათი თვალებით შევხედავდით სამყაროს.

მე ვისურვებდი, რომ ჩვენი გიმნაზიის ბავშვებში ბოლომდე დარჩენილიყოს ეს სპეტაკი და უბიწო სული და ღვთის სიტყვის მიღება ყოველთვის ისეთი გულწრფელი იყოს მათ გულებში, როგორც ახლაა.

აქვე მახსენდება მაცხოვრის სიტყვები სახარებიდან: „იყავით, ვითარცა ყრმანი, რათა თუ არ იქნებით სულით ბავშვები, ვერ შეხვალთ სასუფეველში“...

ცისია ფირანიშვილი

გიმნაზიის ხელოვნებისა და რელიგიის მასწავლებელი.

ჩემი შთაბეჭდილებები ლაშქრობისას

ერთ დღეს მე და ჩემი თანაკლასელები მასწავლებელმა ელიაში წაგვიყვანა ლაშქრობაზე. ტყეში რომ შევედით, ხეებზე ციყვები შევნიშნეთ. ისინი სწრაფად გადადიოდნენ ხიდან ხეზე.

აღმართი ისე ავიარეთ, რომ ვერც შევამჩნიეთ, როგორ მივუახლოვდით ეკლესიას. სანთლები ავანთეთ და ვიოლოცეთ. ვნახეთ ეკლესიასთან არსებული ბიბლიოთეკა, სადაც უამრავი საინტერესო წიგნი იყო. ყველას ძალიან მოგვეწონა. ყველა ჩვენგანი მამა ეგნატემ დაგვლოცა და ტკბილეულით გაგვიმასპინძლდა. შემდეგ აუზთან გავჩერდით. ის სავსე იყო ლამაზი თევზებით. სუფრა გავშალეთ და ბევრიც ვიმხიარულეთ.

ეს დღე ძალიან სასიამოვნოდ გავატარეთ და სურვილი მაქვს, რომ კიდევ ბევრი ადგილი დავლაშქროთ მომავალში.

ნიკა ქუშაშვილი

გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე

მე კენჭი ვარ, გარიჟული ნაპირზე

მე კენჭი ვარ, გარიჟული ნაპირზე,
მდინარეს რომ გავყვე, მე არ ვაპირებ,
ეს მდინარე ითრევს ყველას მორევში,
უხილავად მოჩუხჩუხებს სოფელში.
ალბათ უნდა ყველა ფსკერზე დალექოს,
ლოდი მტვერად გაფანტოს და წალეკოს,
დღეს ხორციელ სიტკბოებას აგემებს,
ხვალ ამოსდებს სამუდამო ლაგამებს.
საქართველო ლოდი არის დაშლილი,
ქართველები — ნაწილები მთელისა,
საჭიროა ამ ნაწილთა ერთობა,
რათა მოხდეს გასწორება წელისა.
თქვენ გგონიათ ამით ჩვენი დღე მორჩა?
ჰორიზონტზე ერთი სხივი შემორჩა,
მაგრამ ძლივს ჩანს, ვედარაფერს ანათებს,
არ დავუშვათ! მზე ჩავიდეს, დადამდეს.
მხოლოდ რწმენა ამოიყვანს ცაზე მზეს
და მცნებების შესრულება გვამთელებს,
თუ არა და გახვეულნი ცოდვებში,
გავეხვევით სამუდამო მორევში.
შთამომავალს რას უტოვებ ქართველო,
გარყვნილებით გარემოცულ სამშობლოს?
ან თუნდაც შენ, შვილის მკვლელო მშობელო,
მოსასვლელს რომ მოსვლამდე უღებ ბოლოს.
ლითონების ბზინვარების მაგივრად
მზის და მთვარის ბზინვარებას ვუყუროთ,
თორემ ჩავლენ და უკუნი მოგვიცავს,
სიბნელეში ვედარავინ დაგვიცავს!

ბათო ავსაჯანიშვილი

ახალწლის (სამების) ნიში სტაფანწმინდაში

საკულტო ძეგლი მდებარეობს შუა დაბაში, ხეთაგურების უბანში, ნაეკლესიარზე. შენობა გეგმით ოთხკუთხაა, ნაგებია ფიქლით. წყობა მშრალია. გარედან შეთეთრებულია კირით. ნიში შედგება ორი ნაწილისაგან. მთავარი ფასადი ჩრდილოეთითთაა. აქვე კედელში დატანებულია ოთხკუთხა თახჩა, რომლის ქვემოთ დამაგრებულია პატარა სპილენძის ჯვარი. ნიშს თავზე აღგას ქვის ჯვარი და აწყვია მთის ბროლის ქვები (ბურბუხჭელები). ნიში ხეთაგურების სალოცავია. ლეგენდის თანახმად, მომხდურებთან ბრძოლაში თავი უსახელებია ვინმე იასე ხეთაგურს. მეფეს მისი დაჯილდოება განუზრახავს, მაგრამ იასეს ჯილდოზე უარი განუცხადებია და სანაცვლოდ უთხოვია, რომ ყოველ ახალ წელს, დღეობისას, როცა გერგეტის სამებიდან დროშებს გამოაბრძანებდნენ, მის კარზე ჩაეტარებინათ. ეს უბრალო გლეხისთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. ასეც მომხდარა. მას შემდეგ ხეთაგურები საკლავითა და პურ-მარილით ხვდებოდნენ გერგეტლებს, უმასპინძლდებოდნენ მთელ სოფელს. ახალწლის ნიში მოხსენიებულია გერგეტის სამების სულთა მატიანეშიც.

ფოტო ზურაბ ბაქრაძის, 11 კლასი

მყინვარი ანდამატივით მიზიდავს

არიან ადამიანები, რომელთაც სიმაღლისაკენ სწრაფვა ცხოვრების მამოძრავებელ ძალად მიაჩნიათ. ასეთ ადამიანებს მთა ანდამატივით იზიდავს და ბავშვობიდან ცდილობენ ცხოვრება მასთან ჭიდილში ტკბილმწარე მოგონებებს დაუკავშირონ. ასეთ პიროვნებად გვევლინება წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე უჩა ხუციშვილი. აი, რა გვაამბო უჩამ:

მყინვარის ძირში დავიბადე, ბავშვობიდან მისი სილამაზე მაოცებდა. ვგრძნობდი, რომ ის ჩემს ცხოვრებაში დიდ ადგილს დაიკავებდა. მამაჩემი, ჯონი ხიციშვილი ცნობილი მთამსვლელია, მას მრავალი მწვერვალი აქვს დაპყრობილი. ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მამაჩემის მთამსვლელი მეგობრები და, რა თქმა უნდა, მათი საუბრები მეტწილად მთას უკავშირდებოდა. მე გაფაციცებით ვუგდებდი ყურს მათ საუბრებს და უკვე ვიცოდი რამდენი წინაპირობა უნდა დაეცვა მთამსვლელს მყინვარზე წასვლის წინ — აკლიმატიზაციის გავლა, ყველა აღჭურვილობა (წერაქვი, წრიაპი, ზურგჩანთა საჭირო საკვებით, „ჯიპესი“ და სხვა) თუ წესრიგში არ მექნებოდა, მწვერვალზე ასვლაზე არც უნდა მეოცნება. მტკიცედ გადავწყვიტე მამაჩემის კვალს გავყოლოდი და მეც მეგრძნო ის სიამოვნება, რომელსაც „ხევის პატარძლის“ წვერთან მიახლოებისას შეიგრძნობს ადამიანი. თანდათან დავინტერესდი მთამსვლელობის ისტორიით. ვიცი, რომ 1923 წელს ყაზბეგის მყინვარწვერზე (5047 მ) ავიდა ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ქართველი სპორტსმენი და მეცნიერი გ. ნიკოლაძე. ჯგუფი შედგებოდა 18 ახალგაზრდა მთამსვლელისაგან. მათ შორის ხუთი ქალი იყო. ჯგუფის მთავარი მეგზური იყო სტეფანწმინდელი იგორ კაზალიკაშვილი, რომელმაც შემდგომშიც მრავალი ლაშქრობა მოაწყო მყინვარზე. მისი სახელობის ისტორიული მუზეუმი, მისივე საცხოვრებელ სახლში გაიხსნა 1983 წელს. მუზეუმში გამოფენილია მისი მემორიალური ნივთები, ფოტოსურათები და საქართველოს ალპინიზმის განვითარების ისტორიული მასალები.

მთასვლელი გახა წიკლაური

ხევში აღიზარდნენ ცნობილი ალპინისტები, ჩვენი რაიონის მკვიდრი „თოვლის ჯიქად“ წოდებული გივი გიგაური, მაცი (თამაზ) წიკლაური, გ. წიკლაური, ი. კაზალიკაშვილი, ვ. ხაიკაშვილი, გ. შადური, ვ. ქირიკაშვილი, ქ. ფიცხელაური და სხვები, რომელთა სახელებს ახლაც სიამაყით ვიხსენებთ. ალპინისტებს ხშირად მეგზურობას უწევდა სტეფანწმინდელი გერმან ხეთაგური.

უჩა ხუციშვილი და გიორგი გომიაშვილი მყინვარზე ლაშქრობის დროს

2012 წელს ჯგუფს გავყევი მყინვარის მეტეოსადგურზე. საოცარი სილამაზე ვნახე. ამ ზაფხულში კი უკვე მოვინდომე მყინვარის დალაშქვრაც ჩემს მეგობართან და ნათესავთან გიორგი გომიაშვილთან ერთად. გიორგი ჩემზე უფროსია და რამდენჯერმე დალაშქრა მყინვარი, მე კი მყინვარის „ხმაურას“ ტერიტორიიდან უკან მობრუნება მომიწია, მივხვდი, რომ საჭიროა მეტი ვარჯიში და შრომა, რადგან „ხევის პატარძალი“ თავისთან მხოლოდ ვაჟკაცებს უშვებს. ვიცი, რომ მყინვარზე სანამ წახვალ, უნდა ილოცო და სულიერადაც მოეშზადო მასთან შესახვედრად. მე აუცილებლად გავხდები კარგი მთამსვლელი.

უჩა ხუციშვილი,
გიმნაზიის მე-11 კლასის მოსწავლე

განცხადებები:

1) წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია. გაზეთის „ჩემი გიმნაზიის“ საშუალებით ოქტომბრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით აცხადებს კონკურსს წლის საუკეთესო ფოტოზე. მასალები გამოქვეყნდება გაზეთის ყველა ნომერში. შეჯამება მოხდება მაისის ბოლოს. გამარჯვებული დაჯილდოვდება პრიზით. ოქტომბრის თვის გაზეთში ვაქვეყნებთ ზურაბ ბაქრაძის ფოტოსურათს.

2) გაზეთი „ჩემი გიმნაზია“ მკითხველს სთავაზობს თანამშრომლობის პროექტს — გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც ნათელს მოვფენთ ჩვენს ქვეყანას, ხევს, ამავდროულად მხარში დაუდგებით ჩვენს გაზეთს. ტელ. 595 93 99 73.

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი